2022 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

ა(ა) იპ ''ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი'' დაარსდა 2015 წელს. ცენტრი სრულად ფინანსდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ.

ა(ა) იპ ''ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი''-ს ხარჯთაღრიცხვა 2022 წელს შეადგენდა 160 600 ლარს. 2022 წელში ათვისებულია 158 473,58 ლარი,

ცენტრი ახორციელებს შშმ პირთა ზრუნვის პროგრამას. ჯანდაცვის სამინისტროს დადგენილების რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამას, ინტეგრაციას, ინკლუზიურ განათლებას.

ცენტრში ირიცხება წყალტუბოში და წყალტუბოდან 20 კმ -ის რადიუსში მცხოვრები ბენეფიციარები. ბენეფიციარებს ემსახურება ცენტრის კუთვნილი მიკროავტობუსი.

ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან ორჯერადი კვებით. ორივე კვება სამ/კომპონენტიანია. ხორცის და თევზის პროდუქტების შემოტანა ხდება კვირაში 4-ჯერ, ყოველდღიურად.

თითოეულ ბავშვზე გათვლილია კალორაჟი. მიღებული საკვების ნიმუშები 24 საათის განმავლობაში ინახება მაცივარში (უსაფრთხოების თვალსაზრისით).

ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, მუსიკალური ინსტრუმენტით, რომლის საშუალებითაც ხდება ბენეფიციარების ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში. ცენტრი აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, პროექტორით, ლამინირების აპარატით. ცენტრში ფუნქციონირებს ვიდეოთვალი.

ა(ა) იპ ''ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი''-ში 2022 წლში ირიცხებოდა 17 ბენეფიციარი

შემდეგი დაავადებებით:

1. დაუნის სინდრომით
2. აუტისტური სპექტრით
3. ცერებრალური დამბლით
4. გონებრივი შეზღუდვით

ცენტრში დასაქმებულია 16 ადამიანი.

2022 წელში ბავშვთა ინკლუზიურ ცენტრში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

1. დედის დღე 3 მარტი, ბავშვებმა თავისი ხელით შექმნილი საჩუქრებით მიულოცეს დედებს დედის დღე.
2. 8 მარტი, ბენეფიციარებმა სიმღერებით და ლექსებით მიულოცეს პედაგოგებს ქალთა საეთაშორისო დღე.
3. 21 მარტი, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა გენადი ბალანჩივაძე და მერიის თანამშრომლები ტორტითა და ტკბილეულით გაუმასპინძლდნენ ბენეფიციარებს.
4. 2 აპრილს ავღნიშნეთ აუტიზმის საერთაშორისო დღე ქალაქის ხელმძღვანელობასთან ერთად.
5. აღდგომის დღესასწაული თითოეული ბავშვისთვის განსაკუთრებული დღეა, ბენეფიციარების ოჯახებს სააღდგომო სასაჩუქრე ნაკრები გადასცა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ და საკრებულომ.
6. ქალაქის N2 საჯარო სკოლამ სასიამოვნო დღე აჩუქეს ბავშვებს და ტკბილეულით გაუმასპინძლდნენ. ბავშვებს მოვუწყვეთ ექსკურსია ქალაქის ტერიტორიაზე, გავისეირნეთ პარკში, დავათვალიერეთ ღირშესანიშნაობები. დავესწარით თბილისის დინამოსა და წყალტუბოს სამგურალის მატჩს, წყალტუბოს საფეხბურთო სტადიონზე.

7. მოვაწყვეთ ღონისძიება, სადაც შეხვედრა მოვუწყვეთ ცენტრიდან წასულ ბენეფიციარებს, ლექსებით და სიმღერებით შევხვდით მოწვეულ სტუმრებს, ქალაქის მერს, საკრებულოს თავმჯდომარეს, მერიის თანამშრომლებს და საკრებულოს წევრებს, რომლებმაც პატარებს საჩუქრები გადასცეს.
8. ზაფხულის დღეებში მოვახერხეთ ბავშვების გაყვანა ბუნებაში ექსკურსიაზე და თოჯინების თეატრში.
9. მოხდა შენობის ნაწილობრივი რემონტის ჩატარება, კერძოდ დერეფანში და ერთ ოთახში სრულად გამოიცვალა ლამინირებული იატაკი, დანარჩენ ოთახებში მოხდა იატაკის ნაწილობრივი შეკეთება, ასევე ერთი ოთახი შეიღება სრულად დანარჩენ ოთახებში ჩატარდა ნაწილობრივი კოსმეტიკური რემონტი.
10. წყალტუბოს N3 და სოფ. ფარცხანაყანევის საჯარო სკოლამ სასიამოვნო დღე აჩუქეს ბავშვებს და ტკბილეულით და საახალწლო საჩუქრებით გაუმასპინძლდნენ.
11. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ბ-ნ გენადი ბალანჩივაძის და სხვა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ბენეფიციარებს გადაეცათ საახალწლო საჩუქრები.

მულტიდისციპლინარულ გუნდთან ერთად შემუშავებულია თითოეულ ბენეფიციართან მუშაობის ინდივიდუალური სამუშაო გეგმა, რომელიც შედგენილია მათი გონებრივი შესაძლენლობების მიხედვით.

მუშაობა მიმდინარეობს შემდეგი უნარების განვითარების მიმართულებით:

1.აკადემიური უნარები

2.მეტყველების უნარები

3.ქცევა.

4.ფუნქციური უნარები (ყოფითი უნარ-ჩვევები)

5.მსხვილი და ნატიფი მოტორული უნარები

6.კოგნიტური უნარები

7.ემოციურ სოციალური სფერო.

თითოეულ ბენეფიციართან მიმდინარეობს სწავლება როგორ უნდა დაიცვან პანდემიის პირობებში რეგულაციები.

1. პირბადის ტარება
2. ხელების დამუშავება სადეზინფექციო ხსნარით (დისპენსერის გამოყენება).
2. დისტანციის დაცვა
3. ხელების ხშირი დაბანა.
4. სუნთქვითი ვარჯიშები

პანდემიამ გარკვეული კვალი დატოვა თითოეული ბენეფიციარის განვითარებაში. თუ კი მიღწევები წინა წლებში მაღალი იყო, 2022 წელს ეს შედეგები საგრძნობლად ნაკლებია.
ორგანიზაციას უყურადღებოდ არ ტოვებენ კეთილი ადამიანები,
„ბავშვთა ინკლუზიურ ცენტრი“-ს უსასყიდლოდ ემსახურებიან

1. შპს „ჰიგია“ - ხელ-ი კ. კიკვიძე და ც. გურეშიძე
2. შპს „ ერი“ - ხელ-ი რ. კუხალაშვილი
3. შპს “ფლაინეტი“ ხელ-ი- გ. ყუფარაძე

მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ზრუნავენ ბენეფიციარების მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მათი კეთილდღეობისათვის.